

10.788  
2



ამიერ-კავკასიის მთავრობის

# მიწის პანონები



თბილისი

სტამბა ბ. კილაძისა, ველიამინოვის ქ. № 3.

1918 წ.

ამიერ-კავკასიის სეიმის მიმა-  
რთვა გლეხებისადმი.

## ამიერ-კავკასიის გლეხები!

7 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმმა გამოსცა ახალი საადგილ-მამულო კანონი, რომლითაც კერძო საკუთრება-მიწები უფასოთ გადადის სახალხო საკუთრებათ.

იმ მემამულებს, რომელიც დღემდე ფლობდენ ათი ათასობით დესეტინა მიწებს, დაეტოვება იმდენი მიწა, რამდენიც შეუძლია თითეულ მათგანს დაამუშავოს საკუთარი შრომით და ხელით.

ასე აღსრულდა ამიერ-კავკასიის გლეხობის დიდი ხნის სურვილი განურჩევლად ეროვნებისა.

ჩვენ, ოქვენმა წარმომადგენლებმა, მივანდეთ ამიერ-კავკასიის მთავრობას გაატაროს ცხოვრებაში ეს საადგილ-მამულო კანონი და დააწესოს ჩვენს მხარეში მიწის საკი-თხის საუკეთესო წესები.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია გლეხთა განთავისუ-ფლება მონობისაგან და მათი მიწით უზრუნველყოფა, უნდა დაეხმაროს მთავრობას ამ საძნელო საქმეში. ამ საქმეს კი დიდი საშიშროება და სიძნელე უდგას წინ.

ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ძველი წესწყობილება და მემამულეთა ინტერესები, ადვილათ არ შეურიგდებიან ისეთ საადგილ-მამულო კანონს, რომლითაც მემამულების უფლებანი ღარიბ—ღატაკზე გაუქმებულია. მაგრამ აშკარათ სეიმის მიერ ერთხმათ მიღებულ კანონის წინააღმდეგ ისინი არ გამოვლენ, აშკარათ ისინი თქვენ არ გაგაგებიებენ თავიანთ განზრახვებს. ისინი შეეცდებიან დაანგრიონ საადგილ—მამულო კანონი, დაიწყებენ რა ჩვენს მხარეში





შესეთის, ანარქიისა და სხვადასხვა ტომთა შორის შუღლის  
თესვის. ამ გზით ისინი კეშმარიტად მიიღწევენ მიზანს,  
ჩამოართმევენ გლეხებს მიწებს, რომელიც მათ რევო-  
ლიუციამ გადასცა.

რუსეთში ჩვენს თვალშინ ანარქიის მორევში და  
არევ-დარევაში იღუპება რევოლუციის მოპოვებანი.  
იღუპება რუსეთის გლეხობის იმედი მიწების მიღების შე-  
სახებ.

უკეთუ ანარქია მოედება ამიერ-კავკასიას, მაშინ  
ჩვენშიაც დასამარდება რევოლუცია და ჩვენი გლეხობაც  
უნდა გამოემშვიდობოს იმ მონაპოვართ, რომელიც მათ  
რევოლუციამ მიანიჭა, უპირველესად კი მემამულეების  
გასახარებლად გლეხებს ჩამოართმევა ის მიწები რომელ-  
ბიც მეფეების დროს ამ მემამულეებს ეკუთვნოდა.

რომ ისარგებლოთ რევოლუციის მონაპოვარით,  
რომელმაც მოგცა თქვენ მიწა, თქვენთვის საჭიროა მტკიცე  
ზაფი ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან. ამიტომ ამი-  
ურ-კავკასიის სეიმი და მთავრობა ყოველივე ძალონით  
ცდილობენ დაუყონებლივ იქნას ომი შეწყვეტილი, რო-  
მელიც მეოთხე წელიწადია ანადგურებს ჩვენს ქვეყანას.

მაგრამ ზავისადმი მისწრაფების დროს სეიმს და  
შთავრობას არ შეუძლიათ დასთანხმდენ ისეთ პირობებზე,  
რომელიც მიიყვანენ ქვეყანას გალატაკებამდე, დამცირე-  
ბამდე და დალუპვამდე და არ მისცემენ მიწას ამიერ-კავ-  
კასიის გლეხებს. ეს კი მოგველის ჩვენ, თუ დაირღვა ჩვე-  
ნი ქვეყნის მთლიანობა და მისი ნაწილი ხელში ჩაიგდო  
მტერმა, ვინაიდან დამპყრობი არასოდეს არ დაუშვებს,  
რომ დაპყრობილ ქვეყანაში მიწა დარჩეს თავისუფალი,  
თავისუფალ გლეხების ხელში. ამიტომ სეიმი და მთავრობა,  
მიისწრაფიან რა მტკიცე ზავისაკენ, იმავე დროს მზაო  
არიან იარაღით დაიცვან ამიერ-კავკასიის საზღვრები და  
არაფირთარ მსხვერპლს არ მოერიდებიან, თუ მოწინააღმდეგი

არ მიიღებს ისეთ ზაგს, რომელიც უზრუნველ ყოფს ამიერ კავკასიის ყველა ერების თავისუფლებას და გლეხებს მიწას დაუტოვებს.

ანარქია და გარეშე მტრის შემოსევა — აი ის ორი საფრთხე, რომელიც თქვენ მოგელის, ამიერ-კავკასიის გლეხებო!

ამიერ-კავკასიის გლეხებო, — ქართველებო, სომხებო, მუსულმანებო! თქვენ, რომელთაც რევოლიუციის წყალობით მიწა მიიღეთ, ყველას ერთი საზრუნავი საქმე უნდა გქონდეთ!

გააერთიანეთ ყველა თქვენი ძალები მოპოებული მიწების შესანარჩუნებლათ.

მხარი დაუჭირეთ სეიმს და მთავრობას რევოლიუციის მტრებთან ბრძოლაში, რომ ჩვენს მხარეში წესრიგი იქნას დაცული და ამიერ-კავკასიის დაცვის საქმეში გარეშე მტრის შემოსევისაგან, — მაშინ მიწებიც სამუდამოთ თქვენს ხელში დარჩება.



# დეგულება

სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო-  
 სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათ-  
 მფლობელთა მიწების სადგილ-მამულო კომი-  
ტეტებისათვის გადაცემის შესახებ.

1. რათა უზრუნველყოფილ იქნას უმიწაწყლო და  
 ცოტა მიწის მჯონე მშრომელი მიწის მომუშავე, ყველა  
 სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონა-  
 სტრო, იურიდიულ და კერძო პირთა მიწებიდან ვანსაზ-  
 ვრულ ნორმაზე ზევით, რომლის რაოდენობა ცალკე იქნე-  
 ბა გამორკვეული, დგება ამიერ-კავკასიის საადგილ-მამუ-  
 ლო ფონდი, რომელიც გადადის ამიერ-კავკასიის და სა-  
 გუბერნიის ან საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტების  
 განკარგულებაში.

**შენიშვნა 1.** საადგილ-მამულო კომიტეტის გან-  
 კარგულებაში არ გადადის ეზო და კარ-მიდამო.

**შენიშვნა 2.** უკეთუ შესდგება ნაციონალურ-  
 ტერიტორიალური პოლიტიკური გაერთიანება, გან-  
 საზღვრულ ტერიტორიის საადგილ-მამულო ფონდი  
 გადადის სათანადო ნაციონალურ-ტერიტორიალურ  
 საადგილ-მამულო კომიტეტის მართვა-გამგებობაში  
 იმ მიწების გამოკლებით, რომელთაც აქვთ საერთო  
 სახელმწიფოებრივი ან მთელი მხარისთვის მნიშვნე-  
 ლობა. ასეთი მიწები რჩება ამიერ კავკასიის საად-  
 გილ-მამულო კომიტეტის ხელში.

**შენიშვნა 3.** ამიერ კავკასიის იმ ნაწილებში,  
 სადაც განზრახულია ადმინისტრატიული გადამიჯ-  
 ვნა, საგუბერნიო და სამაზრო საადგილ-მამულო  
 კომიტეტები უნდა შესდგეს ასეთი გადამიჯვნის მოხ-  
 დენის შემდეგ.

2. ხიზანთა უფლება-ვალდებულება (დამოკიდებულება) ისპობა. საადგილ-მამულო კომიტეტების მიერ შემუშავებულ პირობებში ხიზნებს რჩებათ ის მიწები, რომლითაც ამ ეამათ ისინი სარგებლობენ; ამ მიწის ნორმა არ უნდა აღემატებოდეს კომიტეტის მიერ დაწესებულ ნორმას. ამავე საფუძველზე უნდა იქნას დაკმაყოფილებული „პოსელიანები“, რომლებიც სარგებლობენ მიწით „ტაპის“ და „ახჩის“ უფლებით.

3. 1918 წლის 1 იანვრიდან ისპობა დასახსნელი გადასახადი, რომელსაც ყოფილი დროებით ვალდებული გლეხები და „პოსელიანები“ იხდიდენ.

4. ცალკე მიწის მომუშავე პირთა საჭიროების გამორკვევის შემდეგ სადგილ-მამულო კომიტეტები ანაწილებენ ამ დებულების პირველ მუხლში აღნიშნულ მიწებს იმ მიწების გამოკლებით, რომლებიც ამ დებულების შემდეგ მუხლებშია აღნიშნული. მიწები განაწილებულ იქნება უმიწაწაწყლოთა ან ცოტა მიწის პატრონთა შორის იმის მიხედვით, თუ რამდენათ არ არიან ისინი უზრუველ ყოფილი მიწით. ამისდა მიხედვით განისაზღვრება საადგილ-მამულო კომიტეტის მიერ შემუშავებულ პირობებში მიწის რაოდენობა.

5. მცხოვრებთა შორის არ განაწილდება: ა) ტყეები, სამაღნო მიწები და წყლები. ამათი სარგებლობის წესი ცალკე დებულებით იქნება განსაზღვრული; ბ) სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, კერძო პირთა და საადგილ-მამულო კომიტეტების მართვა-გამგებაში გადასული სხვადასხვა საზაფხულო და საზამორო საბალახოები, სახაზინო საბეგარო ადგილები მუღანის, კილიკის, სარდარ აბდისა და სხ. ველებისა, აგრეთვე ის მინდვრები, რომლებსაც ესაჭიროებათ მოწყვა, ან გაშობა, ან სხვა მეღიორაციული ზომები, რომელთა სამეურნეო მიზნით გამოყენების წესს ამტკიცებს ამიერ კავკასიის სადგილ-მამულო კომიტეტი; გ) მამულები ან მათი ნაწილები, რომლებსაც

შეიძლება მიენიჭოს განსაკუთრებული სახალხო სამსახურის მინისტრუნიშნული ხასიათი.

6. ისეთ მამულებს, რომელთაც შეიძლება მივანიჭოთ განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულება, ეკუთვნის: ა) მამულები, რომლებიც იძლევიან მთელი ქვეყნის ან ამიერ-კავკასიის ან ცალკე რაიონების მცხოვრებათვის მასსიურათ მოსახმარ ნაწარმოებს, რომელსაც თანამედროვე პირობებში ვერ გვაწვდიან მიწის მომუშავენი, ან გვაწვდიან იმდენს, რომ არ არის საკმაო (რძის მეურნეობა, მეურნეობა ყურძნის, ხილის, ჩაის და სხ.); ბ) მამულები, საღაც შზაღდება მეურნეობისათვის ან მის გასაუმჯობესებლათ საჭირო საწარმოებ საშუალებანი (მეურნეობა სასადგამურო პირუტყვის მოსაშენებელი, სათესლე-სანერგე ადგილები, საღაც ეს მასალები იყიდება); გ) რომლებიც გვიჩვენებენ მეურნეობის ორგანიზაციის და ტეხნიკის მაგალითს.

**შენიშვნა.** ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტებს ამიერ კავკასიის საადგილ მამულო კომიტეტის ნებართვით უფლება ეძლევა შეავსოს იმ მამულთა კატეგორია, რომელთაც სახალხო-სამეურნეო ღირებულება აქვთ ადგილობრივ საჭიროებათა და პირობათა მიხედვით.

7. წინა მუხლებში მოხსენებული მამულები (მუხ. 5 პუნქტი ბ და მუხ. 6), რომელთაც არ აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი ან მთელი მხარისთვის მნიშვნელობა გადაეცემა საერობო თვითმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივ მეურნეობის მოსაწყობათ.

8. ამიერ-კავკასიის იმ საადგილ-მამულო ფონდის გამგებლობა, რომელიც საერობო ორგანიზაციის განკარგულებაში არ გადადის (მუხ. 5 და 6.) ეკუთვნის ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო კომიტეტს.

9. კითხვები საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის  
 გადასაცემ მამულების შესახებ, მამულების იმ ნაწილის  
 ზომის შესახებ, რომელიც რჩება მესაკუთრეს, მიწის იმ  
 ნაჭრების ზომის შესახებ, რომელიც უნდა გადაცეს მიწის  
 მომუშავეებს სასარგებლოთ, აგრეთვე იმ მიწების შესახებ,  
 რომელიც არ უნდა განაწილდეს მიწის მომუშავეთა ზო-  
 რის, სამაზრო, საგუბერნიო ერობებზე ან ამიერ კავკასიის  
 საერობო ორგანიზაციაზე, როცა ასეთი მოეწყობა, საზო-  
 გადოებრივ მეურნეობის მოსაწყობათ მამულების გადაცე-  
 მის შესახებ უნდა განხილულ იქნას ამიერ კავკასიის და  
 საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტებში და საბო-  
 ლოვოთ დამტკიცებული მთავრობის მიერ.

10. ამ დებულების განმარტება და აგრეთვე იმის  
 განსაზღვრა, თუ რა წესით და რიგით უნდა იქნას გადა-  
 ცემული პირველ და მეორე მუხლში ნაჩვენები მიწები, სა-  
 კითხის მოწესრიგება იმ კულტურულ-განმანათლებელ და-  
 წესებულებათა შესახებ, რომელთა შესანახი სახსარი უნდა  
 გადაიდოს ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო ფონდის შე-  
 მოსავლიდან და აგრეთვე „პოსელიანელებისა“ და დროებით  
 ვალდებულთა დასახსნელი გადასახადის მოსპობა—საკითხის  
 დამფუძნებელ კრების მიერ გადაჭრამდე მოხდება ცალკე  
 ინსტრუქციით.

11. საერთო ხელმძღვანელობა და თვალყურის დევ-  
 ნება ამ დებულების 1—10 მუხლებში აღნიშნულ ზომების  
 სისწორით სისრულეში მოსაყვანათ ეკუთვნის ამიერ კავ-  
 იკასის საადგილ-ნამულო კომიტეტს და მთავრობის უმაღ-  
 ლეს ორგანოს.

ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გ. პ.  
**გეგეჭიკორი**  
 მიწათ-მოქმედების სამინისტროს საქმეთა კომისარი ა. ბ.  
**ნერუჩევი.**

# კანონი

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს  
 მემამულეთა ხელში დასატოვებელი მიწების  
 ნორმა და რა ზომები უნდა იქნას მიღებული  
 საადგილ-მამულო რეფორმების განსახორციელე-  
 ბლათ.

გასავითარებლათ და შესავსებათ იმ დებულებისა, რო-  
 მელიც გამოსცა ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 16  
 დეკემბერს 1917 წელს, სახაზინო, ყოფილ საუფ-  
 ლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ  
 პირთა და კერძო მესაკუთრეთა მიწების საადგილ-  
 მამულო კომიტეტებზე გადაცემის შესახებ, გადაწყდა:

1. კერძო მესაკუთრეთა მთელი მიწა, გარდა  
 იმისა, რაც ამ კანონის შემდეგ მუხლშია (2) აღნი-  
 შნული, უფასოდ ერთმევა მფლობელთ და დგება  
 საადგილ-მამულო ფონდი, რომელიც ამიერ-კავკა-  
 სიის და საგუბერნიო ან ხალიჭო საადგილ-მამულო  
 კომიტეტის განკარგულებაში იქნება.

2. ჩამორთმეულ მამულებიდან მფლობელთ დაუ-  
 ტოვებენ: ა) 7 დესეტინას, თუ ჩამორთმეულ მამუ-  
 ლის რაიონში ეწევიან ძვირფას კულტურის მეურ-  
 ნეობას; ბ) 15 დესეტინას იმ რაიონში, სადაც ეწე-  
 ვიან ხორბლეულობის მეურნეობას; გ) და 40 დე-  
 სეტინას, თუ უმთავრესათ შინაურ საქონლის მოშე-  
 ნებას მისდევენ.

**შენიშვნა 1.** საგუბერნიო ან საოლქო სა-  
 ადგილ მამულო კომიტეტებს უფლება ეძლევათ  
 ამ მუხლის (2) ძალით მფლობელისთვის დატო-  
 ვებულ მიწის რაოდენობა გაადიდონ ადგილო-  
 ბრივ პირობების მიხედვით პირველ კატეგორი-  
 ის მამულის ჩამორთმევის დროს 10 დესეტინა-  
 მდე, მეორე კატეგორიის — 20 დესეტინამდე და  
 მესამე კატეგორიის — 50 დესეტინამდე.

**შენიშვნა 2.** ამ მუხლში განსაზღვრულ  
 მიწის რაოდენობაში, რომელიც რჩება პატრონს,  
 ეზო და კარ-მიდამოც შედის.

3. სახიზნო და აგრეთვე „პოსელიანების“, „სა-  
 ტაპო“ მიწები არ ჩამოერთმევა მათ მფლობელთ  
 იმ ნორმამდის, რომელიც მეორე მუხლშია აღნი-  
 შნული.

4. იმ რეფორმის განხორციელება, რომელიც  
 ამ კანონის 1—3 მუხლში და აგრეთვე ამიერ კავ-  
 კასიის კომისარიატის მიერ 1917 წ. 16 დეკემბერს  
 გამოცემულ დებულებაშია აღნიშნული სახიზნო,  
 ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო,  
 იურიდიულ პირთა და კერძო მესაკუთრეთა მიწე-  
 ბის საადგილ-მამულო კომიტეტებზე გადაცემის შე-  
 სახებ, ევალება მიწათ-მოქმედების მინისტრს (მიწათ  
 მოქმედების სამინისტროს საქმეთა კომისარს) მი-  
 წათ-მოქმედების მინისტრი საზღვრავს საგუბერნიო  
 (საოლქო), სამაზრო და სარაიონო საადგილ-მამულო  
 კომიტეტების მოქმედების წესს, თუ როგორ უნდა

მოახდინონ ჩამოსართმევ მამულების რაოდენობის გამორკვევა, მფლობელთათვის დასატოვებელ მიწის გამოყოფვა, ჩამორთმეულ მამულების მიღება, მათი ექსპლოატაცია და ოდგილობრივ მცხოვრებლებზე დასამუშავებლათ გადაცემა და სხვ.

5. კერძო მესაკუთრეთაგან ჩამორთმეულ, აგრეთვე სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და იურიდიულ პირთა მიწების საადგილ-მამულო კომიტეტებზე გადაცემის დასაჩქარებლათ, მიწათ - მოქმედების მინისტრს (მიწათ-მოქმედების საქმეთა სამინისტროს კომისარს) უფლება ეძლევა, როცა საჭიროთ დაინახვს, გაგზავნოს ადგილობრივ საგანგებო რწმუნებულები, რომლებიც განსაკუთრებული უფლებებით იქნებიან აღჭურვილი და იმოქმედებენ ამიერ კავკასიის სეიმის სახელით.

6. ამ რწმუნებულებს უფლება ეძლევათ: მოაწყონ საადგილ-მამულო კომიტეტები იმ ადვილებში, სადაც ასეთები კიდევ არ დაუარსებიათ ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში, დაითხოვონ არსებული საადგილ-მამულო კომიტეტები, რომლებიც არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას, შეადგინონ ახალი და აგრეთვე მიიღონ მათზე დიკისრებულ საქმის შესასრულებლათ ყოველ გვარი საჭირო ზომები.

**შენიშვნა.** საადგილ—მამულო კომიტეტებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ისეთი

პირები, რომელთაც მამული უნდა ჩამოერთვას.

7. ის პირი, რომელიც წინაღმდეგობას გაუწევს ამიერ კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დებულებაში და ამ კანონში აღნიშნულ საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელებას, თუ მას წინააღმდეგობის გაწევის დროს ჩადენილ დანაშაულის გამო უფრო მძიმე სასჯელი არ მოელის, დაისჯება დანაშაულობის მიხედვით: ან 8 თვიდან ერთ წლამდე და 4 თვემდე სატუსალოში ჩასმით, ან ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევით და ერთიდან ოთხ წლამდე გამარტოებელ რაზმში გაგზავნით, ან ყოველ გვარ უფლებათა ჩამორთმევით და ერთიდან ოთხ წლამდე კატორლაში გაგზავნით.

8. 1 და 3 შენიშვნა პირველ მუხლისა ამიერ კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დებულებისა სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მესაკუთრეთა მიწების საადგილო-მამულო კომიტეტებზე გადაცემის შესახებ-უქმდება.

9. ეს კანონი ძალაში შედის, რა დღესაც მას ამიერ--კავკასიის სეიმი მიიღებს.

ამიერ--კავკასიის სეიმის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძე.

მდივანი ა. კანტემიროვი.

კანცელიარიის უფროსი ი. შუმახერი.

7 მარტი, 1918 წ.

## პ ა ნ ზ ნ ი

ჩამოსართმევ მამულების პატრონთა სამეურნეო  
 ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ.

ამიერ კავკასიის სეიმის მიერ 1917 წელს 17  
 მარტს მაღებულ კანონის შესავსებათ, რომლითაც  
 განისაზღვრება მემამულეთა ხელში დატოვებულ მი-  
 წის ნორმა და მიწის რეფორმის ცხოვრებაში გა-  
 ტარების ზომები, დადგენილ იქნას:

1. სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებს და  
 სადაც ასეთები არ არის, — მიწათ მოქმედების მინის-  
 ტრის რწმუნებულებს ეძლევათ უფლება მამულების  
 ჩამორთმევის დროს კერძო მესაკუთრების ჩამოარ-  
 თვან აგრეთვე ინვენტარი (სამუშაო იარაღები) თუ  
 მათ ეს საჭიროთ მიაჩნიათ სასოფლო-სამეურნეო  
 წარმოების დაცვისა და განვითარებისათვის იმის გა-  
 მოქლებით, რაც ესაჭიროება თვით მამულის პატრონს  
 დატოვებულ მიწაზე მეურნეობის საწარმოებლათ.

2. ჩამორთმეულ ინვენტარში პატრონი იღებს  
 სასყიდელს, რომელიც განისაზღვრება მიწათ-მოქმე-  
 დების მინისტრის მიერ შემუშავებულ წესით.

3. საადგილ-მამულო კომიტეტებს, და სადაც  
 ასეთები არ არის — მიწათ-მოქმედების მინისტრის  
 რწმუნებულებს შეუძლიათ, მიხედვით ადგილობრივ  
 პირობებისა, ჩამორთმეული ინვენტარი დასტოვონ

თავის განკარგულებაში, ან გადასცენ კერძო საკუთ-  
 რებათ ან დროებით სასარგებლოთ იმ მიწის მუშებს,  
 რომლებსაც ეს ესაკიროებათ აღვილობრივ განსახ-  
 ლვრულ ფასში.

4. ინვენტარის ჩამორთმევა, მისი დაწვრილე-  
 ბითი აღწერით ყოველთვის ეცნობება სათანადო  
 საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტს. მასვე  
 ეცნობება აგრეთვე, თუ როგორ მოექცენ ჩამორ-  
 თმეულ ინვენტარს სამაზრო საადგილ-მამულო კო-  
 მიტეტები და მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუ-  
 ნებულები.

5. ეს კანონი შედის ძალაში იმ დღიდან, რო-  
 ცა მას სეიმი მიიღებს.

ამიერ კავკასიის სეიმის თავმჯდომარე

მდივანი ა. კანტემიროვი

კანცელარიის უფროსი ი. შუმახერი

17 მარტი, 1918 წ.

# ინსტრუქცია

ამიერ კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის საადგილ-მამულო კომიტეტზე მიწების გადაცემის შესახებ დებულებისა და 1918 წ. 7 მარტს სეიმის მიერ მიღებულ მესაკუთრეთათვის დასატოვვებ მიწის ნორმის განსაზღვრის შესახებ კანონის ადგილობრივ განხორციელებისა და მიწის რეფორმის განსახორციელებლათ საჭირო ზომების შესახებ.

ადგილობრივ, ამიერ კავკასიაში, მიწის რეფორმის განსახორციელებლათ, თანახმად ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წ. 16 დეკემბერს გამოცემულ სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მესაკუთრეთა მიწების საადგილ-მამულო კომიტეტებზე გადაცემის შესახებ დებულებისა და ამიერ კავკასიის სეიმის მიერ 1918 წ. 7 მარტს მიღებულ მესაკუთრეთათვის დასატოვვარ მიწის ნორმის განსაზღვრის და ამ რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ საჭირო ზომების შესახებ კანონისა სათანადო დაწესებულებები და თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ შემდეგი ინსტრუქციით:

ს 1. ამ ინსტრუქციის მიღების შემდეგ ხარჯის ამკრები ინსპექტორები, თითოეული მათგანი მისდამი რწმუნებულ მაზრაში (ოლქში) აცნობებს საადგილ-მამულო კომიტეტს საადგილ-მამულო გადასახადის განმანაწილებელ საკრებულოში არსებულ ცნობებისა და სხვა მასალების თანახმათ მის მიერ შეღვენილ საგანგებო სის კერძო მიწის მფლობელებისას, რომლებიც მაზრის (რაიონის) საზღვრებში ფლობენ მამულებს, რომელთა სივრცე

ეზოითა და კარ-მიღამოთი აღემატება 7 დესეტინას. სიაში აღნიშნული უნდა იყოს მემამულის სახელი, მამის სახელი და გვარი, მამულის სახელწოდება და მისი მდებარეობა, რამდენ დესეტინას უდრის მამული გადასახადის გაწერის დროს გამორკვეულ ცნობების მიხედვით, მეურნეობის დარგი და მამულზე დაწესებულ გადასახადის რაოდენობა.

§ 2. სამაზრო (საოლქო) საადგილ-მამულო კომიტეტები, მიიღებენ რა სათანადო ხარჯის ამკრებ ინსპექტორებისაგან სიას, თუ შენიშნეს რამე შეცდომა სიაში, ავსებენ და ასწორებენ მას იმ ცნობების თანახმათ, რომელიც მათ აქვთ და სიის მიღების დროის შესახებ დაუყონებლივ აცნობებენ საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობას.

§ 3. სამაზრო(საოლქო) საადგილ-მამულო კომიტეტების მიერ მეორე პარაგრაფში აღნიშნულ სიების მიღების მიხედვით, დაუყონებლივ იწყება კერძო მესაკუთრეთაგან მამულების მიღება საგუბერნიო (საოლქო) საადგილ-მამულო კომიტეტების მიერ საგანგებოთ არჩეულ კომისიების მიერ. ამ კომისიების შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარეთ—საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობის ერთი წევრთაგანი, რომელსაც ნიშნავს თვით გამგეობა ან გამგეობის მიერ საგანგებოთ დანიშნული პირი; კომისიის წევრებათ—სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობის წევრი, რომელსაც ირჩევს თვით ვამგეობა, სამაზრო კომისარი ან პირი, რომელსაც საგანგებოთ ირჩევს იმ სოფლის საზოგადოება ან სოფლების საზოგადოებები, რომელთა რაონში არის ჩამორთმეული მამული.

§ 4. ტყეებისა და იმ მამულების მიღება, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულება (მუხლები 5 და 6 1918 წ. 16 დეკემბრის დებულებისა.)





ხდება საგანგებო კომისიების მიერ, რომლებსაც ნიშნული ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო გამგეობა მის ერთ წევრთაგანის თავმჯდომარეობით. ამ მამულების შესახებ ცნობებს სამაზრო (საოლქო) საადგილ-მამულო კომიტეტები აგზავნიან დაუყონებლივ ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო კომიტეტში, როგორც კი მიიღებენ ხარჯის ამკრებ ინსპექტორებისაგან პირველ პარაგრაფში აღნიშნულ სიებს და ამოიღებენ აქედან ცნობებს დასახელებულ მამულების შესახებ.

§ 5. 3 და 4 პარაგრაფებში აღნიშნული კომისიები, სანამ გავიდოდენ სამუშაოთ, ადგენენ მამულებისა და ტყების მიღების გეგმას და ამ მუშაობისათვის საჭირო ხარჯ-თაღრიცხვას. გეგმის შედგენის დროს ჩამოსართმევ მამულების პირველ რიგში უნდა იდგეს უფრო სხვილი მამულები, შემდეგ საშუალო და წვრილი. მამულების მიღებისათვის საჭირო მუშაობის გეგმას და ამისთვის საჭირო ხარჯებს იხილავს და ამტკიცებს ინიტრუქციის მესამე პარაგრაფში აღნიშნულ კომისიებისათვის სათანადო საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობა, მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულ კომისიებისთვის — ამიერ კავკასიის სააგილ-მამულო გამგეობა, დამტკიცების შემდეგ მუშაობის გეგმას გამოაქვეყნებენ, რომ ყველამ იცოდეს იგი.

§ 6. საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტებს ნება ეძლევა მოიწვიონ საჭირო ოცხვი მიწის მზომლებისა, იმ თანხით, რომელიც მათ ამ მიზნისთვის ეძლევა მამულების მისაღებ მუშაობაში და საჭირო სამიწის-მზომელო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებათ. დასახელებულ ტეხნიკა შტატს თვითეულ გუბერნიისათვის (ოლქისათვის) იმუშავებს საგუბერნიო (საოლქო) საადგილ-მამულო კომიტეტი და ამტკიცებს ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო გამგეობა.

**შენიშვნა:** დასახელებულ შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენამდე საგუბერნიო (საოლქო)



საადგილ-მამულო კომიტეტებს შეუძლიათ შინკვეთის საქმეთა, იუსტიციის და მიწათ-მოქმედების სამინისტროთა კომისარების ნებართვით გამოიყენონ ყოფილ სამხედრო-სახალხო სამმართველოს და საგუბენიო გამგიობის, სამიჯნო ოლქების და მიწათ მომწყობ რაზმთა გამმიჯვნელ ტეხნიკთა შტატი.

§ 7. მთავრობის დაწესებულებანი და თანამდებობის პირი, საადგილ-მამულო ბანკები და სხ. უწევენ 3 და 4 პარაგრაფების თანახმათ შემდგარ კომისიებს კანონიერ დახმარებას მამულების მიღების დროს და ამ კომისიების მოთხოვნით აძლევენ მათ ცნობებს, აქტებს, პლანებს და სხვა მასალებს, რომლებიც ეხება ჩასაბარებელ მამულებს.

§ 8. როცა შეუდგება მამულის მიღებას, კომისია საგანგებო უწყებით აცნობებს ამას მამულის პატრონს და მოიწვევს მამულში დანიშნულ დროზე. უწყება უნდა ჩაებაროს თვითონ მამულის პატრონს ხელის მოწერით და თუ ის არ აღმოჩნდა, მაშინ მის ოჯახის ერთ წევრთაგანს ან მამულის გამგეს; თუ არ იციან სად იმყოფება მამულის პატრონი ან გამგე—მაშინ სოფლის კომისარს. მამულის პატრონის მოუსვლელობა არ შეაჩერებს მამულის მიღების საქმეს.

§ 9. მიმულის პატრონს ეძლევა უფლება ამოირჩიოს მისგან ჩამოსართმევ სიწის ნაჭერი, რომელიც არ აღემატება 1918 წ. 7 მარტს კანონის მიერ განსაზღვრულ ნორმას; ამ ნორმაში შედის ეზო და კარ-მიდამო. მიწის პატრონებმა და კომისიებმა უნდა მიმართონ ყოველივე ზომას, რომ თავიდან აიშორონ მიწის დაქუცმაცება და მამულის პატრონისთვის დატოვებული მიწა რომ ერთ ფარგალში იქნეს მოქცეული. თუ მამულის პატრონი უარს იტყვის ეზოზე და კარ-მიდამოზე და მოისურვებს, რომ მას მიწა მიეცეს მამულის სხვა ადგილას, ასეთი თხოვნა უნდა იქნას დაკმაყოფილებული.



**შენიშვნა 1.** მემამულეს არ შეიძლება და დაუკარგა უტოვოთ მამულის ის ნაწილი, რომელზედაც გაშენებულია კულტურული მცენარეები ან შენობები გარეშე პირების მიერ, რომლებიც სარგებლობდენ ამ მიწით იჯარით ან სხვა რაიმე სახით.

**შენიშვნა 2.** უკეთუ იმ მიწას, რომელსაც მემამულეს უტოვებენ, აკრავს მეორე მემამულის მიწა, ან სახაზინო, რომელიც საადგილ-მამულო ფონდში უნდა გადავიდეს, და ამ მიწების სიმცირის გამო ან სხვა რამე მიზეზით შეუძლებელი იქნება მათი ცალ-ცალკე ფარგალში მოქცევა, ასეთ შემთხვებში უნდა შეუერთონ იმ მიწებს, რომლებიც ზედ აკრავს.

10. იმ შემთხვევაში, უკეთუ მემამულე ან მისი რწმუნებული არ გამოცხადდა მამულის ჩაბარების დროს, კომისიის გადაწყვეტილებით მას უტოვებენ მამულის იმ ნაწილს, რომელიც კარ-მიდამოს აკრავს, ისე რომ ეს ნაჭერი უნდა შეადგენდეს მის მფლობელობის ერთ სამეურნეო ერთეულს. მემამულეს, რომელიც უკმაყოფილო იქნება კომისიის გადაწყვეტილებით, შეუძლია ერთი თვის განმავლობაში, გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან, განასაჩივროს საგუბერნიო საადგილ-მამულო კომისიაში (1917 წ. 21 ივლისის დებულების 17 და 19 სტ.).

11. ის მიწები, რომლებსაც 1918 წლის 7 მარტის კანონის მეორე მუხლში და მის შენიშვნაში განსაზღვრულ ნორმით უტოვებენ მემამულეს, გადადის მთელ ოჯახზე, სულ ერთია მრავალ-რიცხოვანი იქნება ეს ოჯახი თუ მცირე. ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ მამული რამდენიმე პირს ეკუთვნის, ან ოჯახში არის ისეთი წევრი, რომელსაც საკუთარი ოჯახი აქვს და თითონ ეწევა ამ მამულში მეურნეობას, ან დამოუკიდებლათ სარგებლობს მამულის შემოსავლით, თითოეულ მონაწილეს ან ცალკე



12. სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტები ყოვე-  
ლივე ზომას ღებულობენ მიმდინარე წლის განმავლობაში  
მოახდინონ ყველა საიჯარო ხელშეკრულობების ლიკვი-  
დაცია, აგრეთვე ბოლო მოულონ ადგილობრივ ან სხვა  
მცხოვრებთაგან მემამულეთათვის დასატოვებ მიწების და-  
ტაცებას მეცხრე პარაგრაფის თანახმათ და მორიგებით  
საქმის გარჩევით (1917 წლის 21 ივნისის დებ. 18 სტ.)  
განსაზღვრონ ის გადასახადი, რომელიც უნდა მისცენ მე-  
მამულეს დატაცებულ მიწების სარგებლობისთვის, აგრე-  
თვე მოიჯარადრებ, რომელიც იძულებული იქნება ვადის  
გასვლამდე შესწყვიტოს იჯარით აღებული მიწით სარ-  
გებლობა.

13. მემამულესთვის დასატოვებ მიწის გამოყოფის  
შემდეგ დანარჩენ მამულს თითონ ღებულობს კომისია და  
აბარებს ადგილობრივ სამაზრო საადგილ-მამულო კომი-  
ტეტს. ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო კომიტეტის  
მიერ შედგენილი კომისია, რომელმაც უნდა მიიღოს ის  
მამულები, რომლებიც სახალხო-სამეურნეო განძს წარმო-  
ადგენენ, ჩამორთმეულ მამულებს აბარებს ასეთ მამულე-  
ბისთვის დანიშნულ საგანგებო აღმინისტრაციას, რომლის  
შტატს ნიშნავს და მის შესანახ ხარჯ-აღრიცხვას ადგენს  
ამიერ კავკასიის საადგილ მამულო გამგეობა.

14. მამულის მიღების შესახებ უნდა შეადგინონ აქ-  
ტი, სადაც აღნიშნული იქნება: ა) მიღების წელი, თვე დ  
რიცხვი, ბ) მიმღებ კომისიის შემადგენლობა, გ) ჩამორთ-  
მეულ მამულის პატრონის სახელი, მამის სახელი და ვეა-  
რი, დ) როგორც მემამულისხელში დატოვებულ ნაწილის,  
ისე საადგილ-მამულო კომიტეტზე გადაცემულ მიწების  
სივრცე და რაოდენობა, ე) ფაბრიკები, ქარხნები, წის-  
ქვილები, სახარჯო სტატიები და სხვა, რომლებიც მამუ-

ლში არის და ამ მამულში მეურნეობის წარმოების წესი  
 ვ) საიჯარო ხელშეკრულობანი, რომლებიც ამ მამულზე,  
 დაწვრილებით აღვნიშვნით მთელ მამულს ეხება ეს თუ  
 მის რომელიმე ნაწილს, მისი ვადა და სხვ; ზ) სერვიტუტე-  
 ბი. მიღების აქტს ხელს აწერენ თავმჯდომარე, კომისიის  
 წევრნი, მემამულე ან მისი რწმუნებული, უკეთუ უკანას-  
 კნელი დაესწრო მამულის ჩაბარებას და სამაზრო საად-  
 გილ-მამულო კომიტეტის წარმომადგენელი ან საგანგებო  
 ადმინისტრაცია, რომელსაც მამულს აბარებენ.

15. მამულის მიღების დროს კომისია ათვალიერებს  
 მემამულესთვის დასატოვებ მიწის საზღვრებს და ადგენს  
 მის ვრცელ აღწერილობას. უკეთუ მიწის ეს ნაწილი ცა-  
 ლკე სამიჯნო ნაწილს არ წარმომადგენს, მიწის მზომელი  
 ადგენს მის გეგმას და ცალკე უმიჯნავს მემამულეს.

16. უკეთუ ჩამორთმული მამული ან მისი ნაწილი  
 იჯარით არის გაცემული. ან ადგილობრივ მცხოვრებთთა  
 ნებით მოუხნავთ, კომისია უცხადებს მოიჯარადრებს და  
 სხვებს, რომ ისინი ვალდებულები არიან მისცენ საიჯრო  
 გადასახადი იმას, ვის ხელშიაც დარჩება მამული, რის შე-  
 სახებაც მას ხელწერილს ამატებენ და აქტში აკერებენ.  
 უკეთუ ჩამოსართმევი მიწები თვით მეპატრონეს დაუთესია,  
 კომისია ნებას აძლევს მას შეიძინოს მოსავალი ან, თუ ამას  
 საჭიროთ დაინახავს, მამულს საადგილ-მიმულო კომიტეტის  
 განკარგულებაში სტოვებს.

17. მიღების ნამდვილი აქტები ყველა დამატებებეით  
 საგუბერნიო გამგეობის მიმღებმა კომისიამ უნდა წარუდ-  
 გინოს საათანადო. საგუბერნიო (საოლქო) საადგილ-მამუ-  
 ლო გამგეობებს, ხოლო ის აქტები, რომლებსაც ადგენენ  
 ტყეების და იმ მამულების შესახებ, რომლებიც წარმო-  
 ადგენენ განსაკუთრებულ სახალხო სამეურნეო განძს, უნდა  
 გადასცენ ამიერ კავკასიის საადგილ-მამულო გამგეობას.

18. ჩამორთმეულ მამულებისგან შემდგარ საადგილ-

მამულო ფონდის ხელმძღვანელობა ეკუთვნის ამიერ კავ-  
 კასის საადგილ-მამულო გამგეობას. სამაზრო საადგილ-მა-  
 მულო გამგეობათა მოქმედების თვალ-ყურის დევნება ევა-  
 ლება საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტებს, ხოლო  
 საუბრო კომიტეტების, ხოსუმის და ზაქათალის ოლქებში-  
 საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტებს.

19. სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი არკვევს  
 მაზრის რომელ მცხოვრებთ სჭირდებათ ჩამორთმეული  
 მიწები დასამუშავებლათ, შემოსვლის და ადგილობრივ  
 პირობების მიხედვით ნიშნავს საიჯრო გადასახადს და სა-  
 გუბერნიო სიადგილ-მამულო კომიტეტს ურდგენს დასამ-  
 ტკიცებლათ. როცა ადგილობრივ მცხოვრებლებს აძლევენ  
 მიწების დასამუშავებლათ, უპირველეს ყოვლისა აკმაყოფი-  
 ლებენ უმიწაწყლო მცხოვრებთ. მიწის ჩაბარების დრო  
 სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა ყოველ ცალკე შე  
 თხვევაში ადგენს აქტს, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყა  
 მიწით სარგებლობის ვადა და პირობები, აქტს ხელი უნ  
 და მოაწეროს იმ პირმაც რომელსაც აბარებენ, უკეთუ შან  
 წერა იცის. სარგებლობის ვადა დროებით განისაზღვრება  
 ერთი წლით. გამგეობა ღებულებოს საჭირო გადასახადს  
 და დაუყონებლივ შეაქვს ის ხაზინაში სათანადო საგუბე-  
 რნიო სადგილ-მამულო კომიტეტის სახელზე.

**შენიშვნა:** თუ როგორ უნდა ხდებოდეს ტყე-  
 ბის და ძვირფას მამულების ექსპლოატაცია, ამის  
 შესახებ წეს-რიგს იმუშავებს თვით ამიერ კავკასი-  
 ის საადგილ-მამულო კომისია, რომლის განკარგუ-  
 ლებაშიაც გადადის ეს მამულები.

20. მიმდინარე წლის განმავლობაში ნადელებისგან  
 თავისუფალ სახაზინო, საუფლისწულო, რამლებიც გადაცე-  
 მულია სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებზე, სამონას-  
 ტრო და სხვა მიწების ექსპლოატაცია იმ წესით უნდა მო-  
 ხდეს, როგორც ეს აღნიშნულია მეჩვიდეტე პარაგრაფში.

21. ყველა ჩამორთმეული მიწები საგუბერნიო საად-  
 გილ-მამულო გამგეობას შეაქვს საგანგებო წიგნებში—ასე-  
 თივე წიგნებში უნდა იქნას შეტანილი ის მიწებიც, რომ-

ლებსაც იჯარით ან დასამუშავებლათ მისცემენ აღგილო—  
 ბრივ მცხოვრებლების. სამეურნეო მართვა-გამგეობის და  
 ანგარიშის წარმოების წესებს იმუშავეეს ამიერ კავკა-  
 სის საადგილ-მამულო გამგეობა.

22. სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტები თავის  
 რაიონში თვალყურს აღევნებენ, რომ დასამუშავებლათ  
 გადაცემული მიწები თავის დროზე იყოს მოხნული და  
 დათესილი და მომკილი. უკეთუ საადგილ-მამულო კომი-  
 ტეტმა გაიგო, რომ ან მემამულებე დატოვებული მიწა  
 ან დროებით დასამუშავებლათ გადაცემული—დაუმუშავე-  
 ბელი დარჩა, ადგილობრივ სასურსათო კომიტეტთან შე-  
 თანხმებით ზომებს ღებულობს მოახდინოს ამ მიწების  
 აამუშავება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია მთავრო-  
 ს 1917 წლის 11 აპრილის დადგენილებაში (კანონ-პრ.  
 493).

23. იმ ადგილებში, სადაც ამიერ კავკასიის საგან-  
 ჭებო კომიტეტის 1917 წლის 21 ივნისის დებულების თა-  
 ნახმათ 1918 წლ. 7 მარტის კანონის გამოქვეყნების დღი-  
 დან ერთი კვირის განმავლობაში საადგილ-მამულო კომი-  
 ტეტები არ შესდგა, მიწათ-მოქმედების მინისტრის საგან-  
 ჭებო რწმუნებულებს ევალებათ დაქარებით შეადგინონ  
 კომიტეტი და გააცნონ მოქმედების გეგმა.

24. აღნიშნულ რწმუნებულებს აგრეთვე უფლება ეძ-  
 ლევათ: ა) გააუქმონ არსებული საადგილ-მამულო კომიტე-  
 ტები და შეადვინონ ახლები; ბ) გააძონ კომიტეტების  
 და გამგეობების ის წევრები, რომელნიც ხელს უშლიან  
 მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას; ვ) რევოლუ-  
 ციონურ ტრიბუნალის სამართალში მისცენ ყველა ის  
 პირნი, რომელნიც ხელს შეუშლიან ამ რეფორმას.

25. ყველა საგუბერნიო (საოლქო) და სამაზრო კო-  
 მიტეტები ვალიულნი არიან დაემორჩილონ წინა პირა-  
 გრაფებში (16 დ. 17) აღნიშნულ რწმუნებულის განკარ-  
 გულებას.